ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5272537

ნომერი: AR1787697

თარიღი : 12.11.2020

გაცემის თარიღი : 02.02.2021

გაცნობის თარიღი : 02.02.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 12 ნოემბრის №AR1787697 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 30

ივნისის №4044493 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.05.029.302), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის, სექტორი 2, ბლოკი "გ"-ს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 ივნისიდან 2018 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 07 აგვისტოს №4107791 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 31 ივლისის №AR1619578 განცხადებაზე წარმოდგენილი იგივე ნიშნულის გეგმებით.
სამსახურის 2018 წლის 07 დეკემბრის №4294586 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი: 15306.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 2162.6 კვ.მ., საერთო ფართობი: 22033.3 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით სექტორი 2-ში "გ" ბლოკისთვის განკუთვნილია ღია ავტოსადგომები, რომლის ფართობი ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებაში დაფიქსირებას.
სამსახურმა წარმოდგენილი და შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების სქემის მიხედვით, სექტორი 2-ში "გ" ბლოკისთვის განკუთვნილია 113 (ასცამეტი) ღია ავტოსადგომი 1322.5 კვ.მ ფართობით, რომლებიც განთავსებულია №01.11.05.029.302 და №01.11.05.029.299 საკადასტრო ერთეულებზე. შესაბამისად, სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებაში, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე შესაძლებელია დაფიქსირდეს 113 (ასცამეტი) ღია ავტოსადგომის ფართობი №01.11.05.029.302 და №01.11.05.029.299 საკადასტრო ერთეულებზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებაში და დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი:
სექტორი 2-ში "გ" ბლოკისთვის დაფიქსირდეს 113 (ასცამეტი) ღია ავტოსადგომი 1322.5 კვ.მ ფართობით, №01.11.05.029.302 და №01.11.05.029.299 საკადასტრო ერთეულებზე.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების სქემა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ავტოსადგომების სქემით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.